ლეჩხუმი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საინფორმაციო გამოცემა №2 (21), თებერვალი, 2013 წელი

უპირველესად, ღვთის სიყვარული!

ღირსი მამის მაქსიმე აღმსარებლის ხსენების დღეს ორჯერ აღნიშნავენ მართლმადიდებლები, 3 თებერვალს და 26 აგვისტოს.

ლეჩხუმმა კიდევ ერთხელ იზეიმა წმიდა მაქსიმობა. უამრავი მომლოცველი ეწვია წმიდანის საფლავს მოსალოცად და სულის საოხად.

საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა ცაგერისა და ლენტეხის მთავარ ეპისკოპოსმა, **მეუფე სტეფანემ** ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, ღვთის მადლი ტრიალებდა ირგვლივ. წირვის აღსრულების შემდეგ მრევლმა ლიტანიობით მურის წმიდა ალაგს გადაინაცვლა, სადაც აღვლენილი იქნა პარაკლისი. მლოცველები გულმხურვალედ ემთხვეოდნენ ღირსი მამის წმიდა ნაწილებს.



წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ბრწყინვალე დღესასწაულზე მრავალი სტუმარს უმასპინძლა ცაგერმა, მათ შორის ბრძანდებოდა ჰერესისა და ნეკრესის მიტროპოლიტი **მეუფე სერგი** ჩეკურიშვილი.

ღირსი მამის მადლით მოსილი დღე ტრაპეზით დასრულდა. წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ძალა და მადლი შესწეოდეს ლეჩხუმს და სრულიად საქართველოს.

8 თებერვალი_დაგითობა

„იწყო აღმოცისკრებად მნელსა უკუნსა შინა მზემან“.

„ზეცა წყალობად,
ნუგეშად ივერსა აოხრებულსა,
მეფედ მოავლენს დავითსა,
ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა,
მხედართმთავარასა უძლეველს,
გულმოწყალესა მსაჯულსა,
ზეშთაგონებით განსწავლულს,
ენა მდინარე მეტყველსა
დავით ჰსთქვი:—
„იყავნ ქალაქნი!
და აღმოცენდნენ ქალაქნი!
განვლე უდაბნო ოხერი,
სავსედ დაბებით შეჰმქენი!
დაჰკარ წერაქვი და აღჩნდნენ
ტაძარნი, ტურფად ნაშენნი,
მუნ შენთან ღმერთსა მადლობენ გალობით შენნი ივერნი!
ხმა—ჰყავ და აღსდგა ივერი, ფენიქსებრ, განახლებული,
იდების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღყვავებული“.

გრიგოლ ორბელიანი

საკრებულოში

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 28 თებერვალს საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული დადგენილებები სხდომის წევრებს გააცნო საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა **მამუკა ლეთოდიანმა**.

კენჭი ეყარა შემდეგ დადგენილებებს: ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ (მომხსენებელი **გოჩა გურგუჩიანი**). „ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ (მომხსენებელი **მირანდა საღინაძე**). „ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 29 თებერვლის №6 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (მომხსენებელი **მამუკა ლეთოდიანი**). „ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი **მამუკა ლეთოდიანი**).

„ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი მამუკა ლეთოდიანი). „ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლებისა და კულტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი მამუკა ლეთოდიანი). „ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი მამუკა ლეთოდიანია). „ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (მომხსენებელი მამუკა ლეთოდიანი). „ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (მომხსენებელი მამუკა ლეთოდიანი). „ცაგერის

მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ (მომხსენებელი მამუკა ლეთოდიანი).

მიღებულ იქნა განკარგულებები: „ცაგერის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის შესახებ (მომხსენებელი **გოჩა მეგრელი**). „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადამხდელთა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ (მომხსენებელი **მირანდა საღინაძე**). სამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საფეხბურთო კლუბის „ხვამლი“ წესდების დამტკიცების შესახებ“ (მომხსენებელი **გიორგი კვირიკაშვილი**).

„არასამეწარმეო (არაკომერციული— იურიდიული პირის—საფეხბურთო კლუბის „ხვამლის“ 2013 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, (მომხსენებელი **გიორგი კვირიკაშვილი**).

„ცაგერის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანის შესახებ“ (მომხსენებელი **გოჩა მეგრელი**).

ამით სხდომამ მუშაობა დაასრულა

თვითმმართველი ერთეული–პრიორიტეტული პროექტების კვალდაკვალ

დიდი ხანი არაა, რაც ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვმუშაობ. მამუკა ლეთოდიანის შესახებ ბევრი მსმენია, მაგრამ თვითმმართველ ორგანოში გატარებული სამი წლის განმავლობაში ამ პიროვნებასთან სამსახურებრივად უშუალო შეხება მაქვს.

გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, რადან „ლეჩხუმი“ საკრებულოსა და გამგეობის საინფორმაციო გამოცემაა, წლის დასაწყისში ან დასასრულს ხელმძღვანელ პირებს საანგარიშო წერილი ევალებათ მკითხველის წინაშე წარსადგენად, კონკრეტული კითხვით– **რა გაკეთდა მუნიციპალიტეტის სინამდვილეში, როშელი საინვესტიციო და არასაინვესტიციო პროექტები განხორციელდა, როშელი იგეგშება მოშავალში, რა კეთდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად,** ამ და სხვა ამოუწურავი თემების ირგვლივ ვტრიალებთ კორესპონდენტი და რესპონდენტი, რომელიც ნებისმიერ საკითხზე ამომწურავ პასუხს გასცემს მკითხველს. ბატონი მამუკა სხვა უამრავ ღირსებასთან ერთად, უფალს დახვეწილი მეტყველებითაც უხვად დაუჯილდოვებია.

პირადად ჩემთვის, როგორც რიგითი თანამშრომლისთვის სიხარულის მომგვრელია ჟურნალისტის როლშიც მის კაბინეტში გატარებული ერთი საათი და საუბარი საჭირბოროტო თემებზე, რომელსაც ტრადიციულად თან ახლავს, დროდადრო ჯანსაღი იუმორით გაჟღენთილი ლირიული გადახვევები.

გადავხედოთ განვლილ წელს, გვესაუბრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი **მამუკა ლეთოდიანი**.

ცაგერის მუნიციპალიტეტში 2012 წელს არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის დროს, მკითხველის ყურადღება რამდენიმე ძირითად ასპექტზე მინდა შევაჩერო. უპირველესად აღსანიშნავია, რომ გასულ წელს საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ქვეყანაში შეიქმნა ახალი პოლიტიკური რეალობა.ხელისუფლებაში მოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა კოალიცია „ქართული ოცნება“ საკუთარი პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, როგორც მაკროეკონომიკურ, ანუ ქვეყნის, ასევე რეგიონული და თვითმმართველობის დონეზე.

2012 წელს მუნიციპალიტეტში დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მიხედვით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. ასეულობით საინვესტიციო პროექტმა სოციალური და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მრავალი სფერო მოიცვა. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 600,0 ათასი ლარი. ამ კუთხით აღსანიშნავია ქ. ცაგერში ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის, ხოლო სოფ. ქვედა ცაგერში, ჩხუტელში და ორბელში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მშენებლობა. სოფელ ლუხვანოში და ჩხუტელში („სვანიძეების უბანი“) მოეწყო საავტომობილო ხიდები. ქალაქ ცაგერში კოსტავას ქ.№15 -ში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ამავე ფონდიდან ასევე განხორციელდა პროექტები: ცაგერში ყოფილი პროფსასწავლებლის და ლაჯანის ყოფილი მასწავლებელთა სახლის სახურავის მოწყობა, ლადო ასათიანის პარკის კეთილმოწყობა, გარე განათების სამუშაოების დასრულება ქ.ცაგერში რუსთაველის ქუჩაზე, ასევე ქვედა ცაგერში და გვესოში.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის განკარგულებით გამოყოფილი თანხით (41,9 ათ. ლარი) სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ქ.ცაგერში სამუსიკო სკოლის პირველ სართულს, სადაც განთავსდა საოლქო საარჩევნო კომისია. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის 772 განკარგულებით გამოყოფილი თანხა (140,0 ათასი ლარი) სტიქიისგან დაზარალებულ 20 ოჯახზე გაიცა ფინანსური დახმარების

სახით, თითოეულზე 7,0 ათასი ლარის ოდენობით.

სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ცაგერში ბაზრის ცენტრალული მოედნის მიმდებარე ტერიტორიის, აღმაშენებლის, თამარ მეფის და კოსტავას ქუჩების საკანალიზაციო სისტემას. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 399019 ლარი. ძირითადად განხორციელდა ბაზრის ცენტრალური მოედნისა და კოსტავას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 584467 ლარი, ობიექტი დასრულდება აპრილის თვეში. პროექტები დაფინანსდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის განკარგულებით გამოყოფილი თანხით. ასევე სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ადგილობრივი სამოო გზების გარკვეულ ნაწილს.

ცაგერის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის განკარგულებით გამოიყო 280 ათასი ლარი, ასევე 280,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხით განხორციელდა ათეულობით პროექტი. პროექტებით ძირითადად გადაწყდა ის პრობლემები, რომლებიც თითოეული სოფლის და უბნის მიხედვით გამართულ შეხვედრებზე დააყენა მოსახლეობამ. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, სამინისტროების, დეპარტამენტების, სამხარეო ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის წარმომადგენლები.

. მუნიციპალიტეტს 2012 წლის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობებით დაფინანსდა მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები (162,3 ათ. ლარი). მათ შორის აღსანიშნავია: ცაგერში №2 ბაგა - ბაღის სარემონტო სამუშაოები (33,4 ათ. ლარი). ქვედა ცაგერში „ახალდასახლების“ უბნის წყალსადენის მოწყობის სამუშაოები (41,7 ათ. ლარი). ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის წყალსადენის მილების შეძენა (15,0 ათ. ლარი). ღვირიშის საჯარო სკოლასთან გაზონის მოწყობა (10,0 ათ. ლარი). ქვ.ცაგერში სიბიკარის ღელის კალაპოტის გაწმენდა და ნაპირსამაგრის მოწყობა (13,9 ათ.ლარი). დარჩენილი თანხებით დაფინანსდა ისეთი პროექტები, როგორიცაა ზამთრის პირობებში ადგილობრივი გზების მოვლის სამუშაოები, სანიაღვრე არხების მოწყობა, გარე განათების სისტემის მონტაჟი, სოფლის წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოები



და სხვა.

საქართველოს განათლების სამინისტროს პროგრამით განხორციელდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების შენობების სარემონტო სამუშაოები. მათ შორის, ზუბის საჯარო სკოლა (24998 ლარი), ლუხვანოს (ზარაგულის და ზედა ლუხვანოს დაწყებითი სკოლა 16994 ლარი), ლასურიაშის (22999 ლარი), ბარდნალის (90450 ლარი), ლაცორიის (ხოჯის დაწყებითი სკოლა 9996 ლარი), ალპანის (41777 ლარი), ცაგერის (24155 ლარი).

ცაგერში ცენტრალურ მოედანზე აიგო შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ცაგერის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 1080000 ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება მგფ -ის პროგრამით. მათ შორის ცაგერში წყლის სათავე ნაგებობის „ცივწყაროს“ წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია ღირებულებით 641884 ლარი. ცაგერში თამარ მეფის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით 600000 ლარი. 2012 წლის ოქტომბრის თვეში დაიწყო ლასურიაშის ხიდთან მდ. ცხენისწყლის ნაპირგამაგრებითი სამუშაოების მეორე ეტაპი. პროექტის ღირებულება შეადგენს 3178205 ლარს. სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს. ობიექტის დასრულება დაგეგმილია ამა წლის მაისის თვისათვის.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ეგიდით დაიწყო და წელს დასრულდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის შიდასახელმწიფოებრივი გზის 50-63 კმ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები (8523058 ლარი) ასევე ალპანა-ცაგერის გზის 0-12 კმ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები (7469030 ლარი).

ქვეყნის სინამდვილეში, ბოლო წლებია ტრადიციულად იქცა „სოფლის დახმარების პროგრამა“, ცაგერის მუნიციპალიტეტში ამ პროგრამით გამოიყო 483447 ლარი. ხოლო პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა 100 პროექტი. მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტები ასეთ სურათს იძლევა; ადგილობრივი მნიშვნელობის გზები (147256 ლარი) სასმელი წყლის სისტემები (71760 ლარი), გარე განათება (44739 ლარი), სოფლის მეურნეობის ტექნიკის შეძენა (63151 ლარი), სარიტუალო სახლების მოწყობა-აღჭურვა (43115 ლარი), კულტურის ობიექტებისა

ლებით და განისაზღვრა 3429,3 ათასი ლარით. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შემოსულობების ნაწილში ბიუჯეტის გეგმა განისაზღვრა 6663,3 ათ.ლარის ოდენობით. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 6699,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 100, 5%-ით. ბიუჯეტის მთლიან მოცულობაში დიდი ხვედრითი წილი უჭირავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ გათანაბრებით, მიზნობრივ და სხვა ტრანსფერებს. ამასთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საკუთარი შემოსავლების სწორად დაგეგმვას და მის ბიუჯეტში მობილიზებას. ხარჯვით ნაწილში ბიუჯეტი პროგრამულადაა წარმოდგენილი.

საკრებულოში ამჟამად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საჯარო განხილვები.

2012 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის მიერ, პრაქტიკული ღონისძიებები განხილულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენისათვის.

დამუშავებული გეგმა განხილული იქნა საკრებულოს სხდომაზე. მიღებულმა სტრატეგიულმა გეგმამ სათანადო ასახვა ჰპოვა რეგიონალურ განვითარების გეგმაში. ამჟამად შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც სტრატეგიის საბოლოო ვარიანტის ფორმირებაზე მუშაობენ, რომელიც საჯარო განხილვისა და დამტკიცების შემდგომ სახელმძღვანელოდ გადაიქცევა.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობას. მუნიციპალიტეტი არის ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის წევრი, ასევე თვითმმართველობის ფინანსისტთა ასოციაციის წევრი, სადაც შესაბამისი პროგრამებით მიმდინარეობს მუშაობა.

მუნიციპალიტეტის მუდმივი ზრუნვის საგანია თვითმმართველობის უფლებამოსილებათა რეალური განხორციელება და მასში მოქალაქეთა აქტიური ჩარევა. ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის მიერ დასმული პრობლემების დროული შესწავლა და მისი გადაჭრა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის დასაქმებას და სოციალურ დახმარებას, ასევე სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამას, რაზედაც მიზან მიმართული მუშაობა მიმდინარეობს.

გმადლობთ.

ეკა ბენდელიანი

საქველმოქმედო კონსერტი

ხელი – ხელს, გული–გულს!

ცაგერის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა „ნერგებმა“ დიდი ფიქრი, შრომის და ენერგიის ფასად შეძლო ეპოვა თანამოაზრეები, რომელთა დახმარებითაც იდეას ხორცი შეასხა და მათივე კეთილი ნებით ცაგერის კულტურის ცენტრის დარბაზში გამართეს საქველმოქედო საღამო, სახელწოდებით ხელი-ხელს, გული- გულს, რომელიც მორალურ და ფინანსურ მხარდაჭერას წარმოადგენდა პატარა **გიორგი მდივნის** და მისი ოჯახისადმი.

არც ისე დიდი ხნის წინ იყო, რომ გიორგი სიცოცხლით ხალისობდა. ტოლამხანაგებში თავის სიტყვას ამბობდა, დღეს ის საწოლსაა მიჯაჭვული, ალბათ თითებზე ითვლის დღეებს და ელოდება ციკრის ამონათებას, როცა ფეხზე დადგება და თანატოლებივით ხალისი მიეცემა მის არსებობას, გეწამს, უფლის შეწევნით, სიცოცხლით სავსე ბიჭი, მალე დაუბრუნდება აქტიურ ცხოვრებას, მანამდე კი შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში, ქრისტეს შვილებს სხვა რა გვევალება–გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი თვისი.

საქველმოქმედო საღამო სევდასთან ერთად სიამოვნებას ჰგვრიდა დამსწრეებს, სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეჩხუმი“ (ხელმძღვანელები **თემურ და ზურაბ ჩანქსელიანები**). „სალაღობო“ (ხელმძღვანელები **ნუკრი გვიშიანი და ოთარ კვირიკაშვილი**). მაყურებელთა წინაშე სიმღერით წარსდგა ლეჩხუმის საამყოფო შვილი **გულნაზ გოლეთიანი და ლია სტეფანოვა**. ბარდნალის, ქვედა ცაგერის, ოყურეშის სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებმა დახვეწილი სასცენო ნომრები უჩვენეს გულშემატკივრებს.

დამსწრე საზოგადოებამ ემოცია ვერ დამალა ცაგერის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის ბახვა **კვირიკაშვილის** მიმართ, რომელმაც როგორც კი შეიტყო სიტუაცია, მიმოიხილა პრობლემა, დაუკავშირდა თბილისის სახ-ელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტს აღნიშნულთან დაკავშირებით და გადაწყდა, რომ იქაც ჩატარდება სტუდენტების თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო საღამო, შემოსული თანხა კი გადაირიცხება გიორგი მდივნის ანგარიშზე.

მაჟორიტარი დეპუტატის ბატონი **სერგო ხაბულიანის** ადგილობრივმა ბიურომ სამასი ლარი გადარიცხა ოჯახის ანგარიშზე.

„ნერგების“ იდეა სისრულეში ვერ მოვიდოდა, თუ არ იქნებოდა კეთილი ადამიანების კეთილი ნება, ლომის წილი ამ საქმეში ცაგერის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა ქალბატონმა **ნინო ნემსიწვერიძემ** შეიტანა, ნორჩი ინიციატორების ნააზრევს სული ჩაბერა. მასთან ერთად იყო მუსიკის მასწავლებელი **იზა ზეცურიანი, გია ლეთოდიანი, გაგა გაბიანი, შორენა ზეცურიანი**, ცაგერის საჯარო სკოლის დირექტორი **ნუნუ ჩაკვეტაძე** და პედაგოგიური საბჭო, ცაგერის კულტურის ცენტრის დირექტორი **ზაზა ყურაშვილი და დარეჯან საღინაძე**.

საღამოს დასასრულს გიორგის დასახმარებლად დარბაზში მდგარი შესაწირი ყუთი მაყურებელთა წინაშე გახსნეს, შემოწირული თანხა დათვალეს და ოჯახს საჯაროდ გადასცეს.

მოდით, ვეევედროთ ქრისტე ღმერთს „მოწყალეო ვნებულსა ამას გიორგის მოხედენ და განჰკურნენ, რამეთუ შენ მხოლო ხარ უძლურებათა და სალმობათა და სნეულებათა ნათესავისა ჩვენისათა აღმხმელი და ყოველივე ძალგიძს, ვითარცა მრავალმოწყალე ხარ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

ეკა ბენდელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ისტორიიდან

ცხეთა-დეხვირი

ლეჩხუმში არსებულ პატარა სოფელს და წმინდა გიორგის ეკლესიას სახელი „ცხეთა“ დიდი მცხეთის წაბაძვით ქვია. რაც შეეხება სოფელ დეხვირს, ეს სახელი დაახლოებით ადრე ანტიკური პერიოდიდან მოდის, იქ აგებულმა ციხე-სიმაგრემაც აქედან მიიღო დეხვირის სახელი, განვითარებულ ფეოდალურ საუკუნეებში ციხესიმაგრე და ალბათ სოფელიც, „თაკვერის“ სახელით მოიხსენიებოდა. სოფელს და ციხეს ძველი სახელი დაუბრუნდა მე-17 საუკუნიდან.

ჩვ. წ-მდე დიდი სვანეთის არსებობის პერიოდში როდესაც სვანეთის მფლობელობაში შედიოდა დასალეთ საქართველოს დიდი ნაწილი და მათ შორის ლეჩხუმიც, აქედან მოყოლებული ლეჩხუმში ბევრი სვანური ტოპონიმი შემორჩა. ტოპონიმი დეხვირიც სვანური წარმომავლობის უნდა იყოს და უკავშირდებოდეს სვანურ „დახურას“, რაც „თხებს “ ნიშნავს (სიტყვაშია „ა“ უმლაუტიან ა-ს აღნიშნავს, რაც ქართულში „ე“-დ იკითხება. დახვა-დეხვერ-დეხვირი, თხები. ანუ სათხებო). ლეჩხუმის ისტორიულ პროვინციაში არსებობს ცხეთა-დეხვირის უძველესი დასახლება (დეხვირის ციხე-სიმაგრის დაახლოებით 1 კმ რადიუსში იყო მჭიდრო დასახლება სოფლებით: საკანაჩო, თხისზურგა, ჩვალბეჩი, ცხეთა და გვარიანა. ამჟამად მათ ნამყოფზე ნასახლარებია, განსაკუთრებით მიწის ქვეშ ჩანს ადამიანის ცხოვრების კვალი), რომელიც მდებარეობს დაახლოებით შუა ლეჩხუმში. სოფელი დეხვირი მდ. ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდინარეების ცხენისწყლისა და ლაჯანურის წყალგამყოფი სერის დასავლეთ ფერდობზეა განფენილი (არსებობს ქვედა და ზედა დეხვირი) წყალგამყოფი სერის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზედა დეხვირის მოპირდაპირე მხარეს, მისგან 1,5 კმ-ის დაშორებით,- მდებარეობს სოფელ ცხეთის ნასახლარი. ეს ტერიტორია, რომელიც ზღვის დონიდან საშუალოდ 700-750 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, თავისი უძველესი წარსული ისტორიით მეტად საინტიერესო და მრავალისმთქმელ მიკროუბანს წარმოადგენს. აქ გამოვლინებულია ძვ. წ. VIII-V სს და ახალი წელთაღრიცხვის შუა საუკუნეების ნასახლარები და სამაროვანი, მნიშვენლოვან უძველეს ნივთიერ მასალებთან ერთად მოპოვებულია ქვის ყალიბი და ბრინჯაოს ხარის მინიატურული ქანდაკება. აქ არსებობს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ანტიკური პერიოდის და განვითარებულ შუა საუკუნეებში „თაკვერად“ და გვიან შუა საუკუნეებიდან დეხვირად წოდებული ციხესიმაგრის კომპლექსი, აქვეა XVIII საუკუნის ცხეთის წმ. გიორგის სახელობის გუმბათიანი ეკლესია. დეხვირის ციხე-სიმაგრესთან არის დაკავშირებული წმ. მაქსიმე აღმსარებელის ბიზანტიიდან ლაზიკაში გადმოსახლების ამსახველი პერიოდის ზოგიერთი ფაქტი. ზედა დეხვირში არის შუა საუკუნეების, მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის ნანგრევი. 1873 წელს ზედა დეხვირში გაიხსნა, ლეჩხუმის მაზრაში, მეორე საერო დაწყებითი სკოლა (პირველი საერო სკოლა 1871 წელს გაიხსნა დაბად ლაილაშში).

ზემოთ ჩამოთვლილ თითოეული ობიექტისა და ფაქტის შესახებ ვეცდები მოკლედ მოგახსენოთ...

ცხეთისა და დეხვირის მიდამოებში 1962-66-76 წწ. ჩატარებული მცირე არქეოლოგიური გათხრებით (ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი ლამარა სახაროვა) აღმოჩენილი იქნა უაღრესად მნიშვნელოვანი დიდი სამეცნიერო ღირებულების ნივთიერი მასალა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ქრისტეშობაზემ VIII-VII-VI სს ლეჩხუმის ტერიტორიაზე იყო იმდროისათვის კარგად განვითარებული ძველი სამთამადნო მეტალურგია (ბრინჯაოსა და რკინის გამოდნობა), ეწოდნენ ქვითა და ხით ხუროობას, ამზადებდნენ საბრძოლო იარაღს, ლითონის ჭურჭელსა და საკმაკულებს, იყო მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. აღნიშნულ უბანზე მდებარე ყვავის ქედას ტერიტორიაზე მოპოვებულ კოლექციაში კოლხურ კერამიკასთან არსებობს ქვის უნიკალური ყალიბი, რომელიც ექსპონირებული იყო გერმანიაში, უძველესი ქართული მეტალურგიის გამოფენაზე, „მისი ანალოგი უცნობია. ყალიბში ჩამოისხმებოდა საიკუნსტრაციო მეანდრისებური ფირფიტები, რომლებსაც იყენებდნენ კოლხური აბზინდების შესამკობად“. სოფელ ცხეთაში აღმოჩნდა ძვ.წ სამაროვანი 2012 წლის ზაფხულში სოფელ ზედა დეხვირის მიმდებარე გვარინას ტერიტორიაზე ათთოდიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად პირველად დადასტურდა შუა საუკუნეების კერამკის უხვი მასალა. აგრეთვე გაირკვა, რომ დეხვირის ციხესიმაგრის ქვედა ფენებიც ახლომდებარე ცხეთა-დეხვირის ნასახლარის თანადროულია. ზედა დეხვირის ძველი ნასახლარის ტერიტორიაზე,ადგილობრივი მოსახლის ეზოში, 2012 წლის ზაფხულში მოპოვებულია ბრინჯაოს ხარის სკულპტურა, ანალოგიური დამახასიათებელია კოლხური კულტურის სამაროვნებისათვის და მიეკუთვნება ძვ.წ. VIII-VII სს.

დოქტორი ნინო სულავა ასკვნის „დეხვირის სერის ნასახლარზე, ასევე ანტიკური ხანის სამაროვანზე გამოვლენილი მასალა (საინკრუსტაციო მასალის ჩამოსასხმელი ყალიბი, ფიბულები, სამკაულები, კერამიკა, ხარის სკულპტურა) მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული არქეოლოგიისათვის, არამედ, მთელი კავკასიის, შავი ზღვისპირეთისა და მედიტერნული არქეოლოგიისათვის“.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ცხენისწყლის კიდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი. დეხვირი, თავი თაკვერისა, რამეთუ რომელსაც უპყრას იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად“.

დეხვირის ციხე-სიმაგრე თავისი ოთხი კოშკით (ღღეის მდგომარეობით ციხე-სიმაგრე და მისი სამი კოშკი საფუძვლამდეა დანგეული, არის ნაციხარი და ნაკოშკარები, ჩანს მხოლოდ ოთხკუთხა კოშკის ნანგრევი) მდებარეობენ მდინარეების ცხენისწყლისა და ლაჯანურის წყალგამყოფ დეხვირის სერზე. ციხე-კოშკები გარშემორტყმული იყო საგუშაგოებით, არსებობს ხელოვნური მიწაყრილები. ციხე-სიმაგრესთან არის ღიდი ტევადობის ქვევრები. ციხსეიმაგრისა და კოშკების ერთობლიობა, რომლებიც ერთიმეორისაგან დაცილებული არიან 500-800 მეტრით, წყალგამყოფზე მთლიან სისტემას ქმნიდნენ. ეს ადგილი ლეჩხუმისათვის იყო გზაჯვარედინი. მას ღიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი აკონტროლებდა პონტოს ზღვისპირა უძველესი ქალაქიდან, ფაზისიდან, ლეჩხუმის და შემდეგ რაჭის გავლით, მამისონის უღელტეხილით ჩრდილო კავკასიაში ალანებთან დაკავშირებულ „თაკვერის“ საერთაშორისო გზას. ასევე ცაგერის ქვაბულიდან ლაჯანურის, რიონის ხეობებში და ქვემო სვანეთში გარდამავალ ყველა გზა-ბილიკს. ამით იგი გაბატონებულ მდგომარეობას იჭერდა და წინა საუკუნეებში ლეჩხუმის ცენტრიც იქ უნდა ყოფილიყო. ეს იქნებოდა „ლეჩხუმის თავის, ლეჩხუმის ბატონის ძირითადი საყრდენი“. მის მპყრობელს დაემორჩილებოდა მთელი ლეჩხუმი (თაკვერი)“.

ისტორიიდან ცნობილია, რომ იმერეთის მეფეებსა და სამეგრელოს მთავრებს შორის ლეჩხუმისათვის გაუთავებელი დავების დროს გამარჯვებული იყო ის, ვინც დეხვირის, ორბელის, ქვ. ზუბის, მურისა და ჭყვიშის ციხე-სიმაგრეებზე დაყრდნობით, ამ კუთხის მხედრობის გამოყენებას შეძლებდა. განსაკუთრებით დეხვირის ციხის დაკარგვა ნიშნავდა ლეჩხუმის პატრონის მარცხს.

არის ისტორიული ფაქტები, როდესაც დეხვირის ციხესიმაგრის კომპლექსმა პირნათლად შეასრულა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ლეჩხუმის დანარჩენი ციხესიმაგრეების დამრაზმელი როლი.

ცხეთის წმინდა გიორგის ეკლესია წარმოადგენს ჯვარგუმბათოვან რვაწახნაგოვან ნაგებობას. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეკლესია ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია XVIII საუკუნის მანძილზე, საქართველოში მიმდინარე საკულტო მშენებლობისა. იგი ავსებს ამ პერიოდის ძეგლების მცირე სიას. ეკლესია აშენებულია ხუროთმოძღვრული თავისებურებების გათვალისწინებითაც.

ცხეთის ეკლესია აუგია ოტია დადიანის მეუღლეს, რაჭის ერისთავის შოშიტას ასულს_ გულქანს 1728-1761 წლებში. „ბეჟანის წილ იქმნა დადიანად ძე-მისი ოტია და მთავრობდა 1758 წელს სიკვდილამდე“. გულქანს 1761 წლამდე უცოცხლია.

ოტია დადიანისა და გულქანის მიერ ლეჩხუმში ფართოდ გაშლილ საამშენებლო მოღვაწეობაზე მეტყველებს აგრეთვე მათ მიერ საირმის (ლეჩხუმი) ძველი მონასტრის განახლება.

ცხეთის დღევანდელი ეკლესიის აღგილას, ადრიდანვე ყოფილა სამლოცველო. ამას აღასტურებს XI-XVI სს წმ. გიორგის ხატი, რომელიც უნახავს ექვთიმე თაყაიშვილს (1910წ.) მას ჰქონია ხუცური წარწერა „მთავარმოწამე ცხეთისა“. მეორე აქაური ვერცლის ხატი „მთავარმოწამისა“ და სხვა სიწმინდეები. XVIII ს-ის ნახელავს წარწერა ჰქონია: „წმ. გიორგი ცხეთისაო შეიწყალე ხევი ცხეთისა შენსა წინაშე შემავალი“.

ცხეთის წმ. გიორგის ეკლესია დასაბამიდან დღემდე წარმოადგენდა სოფლების: ცხეთის, დეხვირის, ლესინდის, წილამიერის, ლასხანის ესე იგი სადეხვიროს სასულიერო ცენტრს.

დეხვირის, ადრე თაკვრის ციხესიმაგრის კომპლექსთან, ცხეთის ეკლესიასთან და მის წინამორბედ სალოცავთან, წერილობით წყაროებში, თქმულებებსა და ლეგენდებში მოიხსენიება VII საუკუნის დიოფიზიტური მოძღვრების მებაირახტრე, ნაწამები, დასჯილი და ბიზანტიიდან ლაზიკაში გადმოსახლებული წმ. მაქსიმე აღმსარებელი და მისი თანმხლები მოწაფეები ანასტასიები.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი ძმებმა ანასტასიებმა ლაზიკის სამეფოს ერთ-ერთ პროვინციაში სკვიმნიაში (ლეჩხუმი) შემოიყვანეს ჩვენი ვერსიით, კოლხეთიდან ცხენისწყლის ხეობით. სოფელ ოყურეშიდან (ლეჩხუმი) მდინარის მარცხენა სანაპიროს გავლით მიიყვანეს მაშინდელი „თაკვერის“ იგივე დეხვირის ციხეში.

წერილობითი წყაროებით ცნობილია, რომ ანასტასია აპოკრისარი, რომელიც თავიდან მოათავსეს ბუკულუსის (დერჩის) ციხეში, მალე გადმოუყვანიათ „თაკვერის“ იგივე დეხვირის ციხეში (XI ს-ის ხელთნაწერში მაქსიმე აღმსარებლის შესახებ

(დასასრული გვ. 5)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეჩხუმის სამაზრო ცენტრის გადმოტანა ლაილაშიდან ცაგერში

ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, რომ ლეჩხუმის სამაზრო ცენტრი ადრე ლაილაშში გახლდათ, ბუზეუმის მასალებზე დაყრდნობით— მკითხველს ვთავაზობთ მასალას, თუ როგორ მოხდა სამაზრო ცენტრის გადმოტანა ლაილაშიდან ცაგერში.

ექვთიმე ახვლედიანი

ლეჩხუმის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრის შერჩევის საკითხი მწვავე კამათს იწვევდა მოსახლეობაში. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა წლების მანძილზე ჭიანურდებოდა.

1880 წელს, ლეჩხუმში ჩასულა გუბერნატორი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონია მაზრის ცენტრად სოფელი ცაგერი შეერჩია, მაგრამ მისთვის წინააღმდეგობა გაუწევიათ ლაჯანურისა და რიონის ხეობის მაცხოვრებლებს—და იგი იძულებული გამხდარა, საგანგებოდ შედგენილი პირობები წარედგინა მათთვის. 80-იან წლებში ცაგერში გაუყვანიათ გზატკეცილები, გაუშენებიათ ბაღი, აუგიათ სავაჭრო დუქნები, ორგანიზებული სახე მიუციათ ბაზრობისათვის და სხვა. ასეთივე სამუშაოები ჩატარებულა ლაილაშშიც.

სამაზრო ცენტრის ცაგერში გადმოტანის მომხრეთა შორის, საქმის მოთავეები იყვნენ მაზრის პოლიციის უფროსი, ნასპერელი მემამულე—ტარას ახვლედიანი, ცაგერელი მემამულე ალექსი მდივანი, ყართლან ჩიქოვანი და თავადი ქაიხოსრო გელოვანი.

1882 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა უმაღლესი მთავრობის განკარგულება—ქალაქად ცაგერის დამტკიცების შესახებ. ამის შემდეგ ლეჩხუმის სამაზრო ცენტრი ლაილაშიდან გადმოტანილი იქნა ცაგერში.

ტარას ახვლედიანი

შემდგომი პერიოდის მასალებიდან ირკვევა, რომ რიონისა და ლაჯანურის ხეობის სასოფლო-საზოგადოების თავკაცებს, ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და დაჟინებით მოითხოვდნენ სამაზრო ცენტრის კვლავ ლაილაშში დაბრუნებას. აღნიშნულ თემაზე

გიორგი საღინაძე

დავა დიდხანს გაგრძელებულა, ლაილაშლები ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდნენ, საჩივარი აღეძრათ ქუთაისს. მათ მოქრთამეს მაზრის უფროსი, რომელმაც სასწრაფოდ დაიწყო გუბერნატორისათვის წარსადგენი ყალბი ცნობების შედგენა, რომელშიც აღნიშნავდნენ, რომ ცაგერში არ არის წყალი, ბაზრობა, სხვადასხვა დანიშნულების შენობები, ჰავა კი ისეთი მავნებელია, რომ ციებ-ცხელება შვილებს უკლავს ჩინოვნიკებსო.

ამავე დროს, არც ცაგერლები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. მათ შეადგინეს ოქმები იმის თაობაზე, რომ მათი მომხრენი შეადგენდნენ მაზრის მცხოვრებთა უმრავლესობას. ამ ოქმების შედგენა დაავალეს მაზრის კანცელარიის მწერალს ექვთიმე ახვლედიანს. მან გამზადებული საბუთები წარუდგინა ტარასი ახვლედიანს, რომელმაც სათანადო თხოვნა-განცხადებები გააფორმა გუბერნატორის სახელზე.

ქუთაისში წარგზავნეს ექვთიმე ახვლედიანი. გუბერნატორმა, მაზრის უფროსის მიერ ჩამონათვლელ მიზეზებზე დაყრდნობით, ბატონ ექვთიმეს თხოვნაზე უარი განუცხადა, თუმცა, მისივე მცდელობის შედეგად, გუბერნატორმა დაწვრილებით შეიტყო სინამდვილე და დარწმუნდა მაზრის უფროსის მტკნარ სიცრუეში. მან გადაწყვეტილება მიიღო, ლეჩხუმის ცენტრად ცაგერი დარჩენილიყო. ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილოთა მღელვარება არ ცხრებოდა. მათმა წარმომადგენლებმა ამ საკითხზე, პეტებურგში, მეფის კარის მოხელეებამდეც მიაღწიეს.

იასონ გელოვანი

1911 წელს კი თავადები—ტარას ახვლედიანი, იასონ გელოვანი და გლეხი გიორგი საღინაძე პეტერბურგში ეახლნენ რუსეთის მეფეს. ტარას ახვლედიანმა თავისი მჭევრმეტყველებით შეძლო მეფის მოხიბვლა—და სამაზრო ცენტრი საბოლოოდ ცაგერში დარჩა.

მადონა ლაკვეხელიანი

მწვანე თეატრი

ლეჩხუმს დიდი კულტურული წარსული აქვს. საკმარისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში კარგად ცნობილი ცაგერის სახალხო თეატრი გასული საუკუნის პირველი ათეული წლებიდან იწყებს მოღვაწეობას. ლეჩხუმში კარგად ახსოვთ და არ ივიწყებენ გრიგოლ მდივნის, სევარიონ კოპალიანის, აკაკი ხეცურიანის, ბაბუცა ბაქრაძის, ნინა ყუბუსიძისა და ბორის ხეცურიანის სახელებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს კუთხის თეატრალური ტრადიციების განვითარებაში. ცაგერში ჯეროვან პატივს სცემენ მექი, გურამ და რუსუდან ყურაშვილებს ადგილობრივი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის. შეიძლება დასახელდეს ნიჭიერ მომღერალთა მთელი პლეადა: რაფიელ კოპალიანის, თეოფანე გუგავას, დავით კოპალიანის, ევგრაფი ალავიძის, ბუჭუ ხუციძის, საშურა გოგიძის, თენგიზ კოპალიანის, ოთარ საღინაძის, თამაზ კოპალიანის და სხვათა შემადგენლობით. მათი მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით მრავალჯერ დამტკბარა მსმენელი. ბოდიშს მოვიხდი და პატიებას ვითხოვ კულტურის სამსახურში დამაშვრალი იმ ლეჩხუმლებისაგან, ვისი სახელებიც ამ ნაშრომზე მუშაობისას ვერ გავიხსენე.



როცა გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლები ჩამოდგა, ცაგერის რაიონის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების მიღწევები კარგად იყო ცნობილი რესპუბლიკისათვის, სამოცდაათიანი წლებით იმიტომ ვიწყებ, რომ იმხანად რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს ქუთაისელი რამაზ მხეიძე, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მწვანე თეატრის გახსნა.

დარწმუნდა რა ლეჩხუმის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების შესაძლებლობაში რამაზ მხეიძემ გადაწყვიტა ფოლკლორული სიმღერების ფესტივალის ჩატარება. რადგან ცაგერის სარაიონო კულტურის სახლი ფესტივალის მონაწილეებს ვერ დაიტევდა, საკითხი გადაწყდა ფეხბურთის სტადიონის სასარგებლოდ. მოიწვიეს კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და მიუჩინეს თავისი კუთხე. მოედანი მალე დაემსგავსა ეთნოგრაფიულ მუზეუმს. დაიდგა ხის პატარა შენობები, მოეწყო ლეჩხუმური სამზარეულოები, გაიმართა სცენა, სადაც საშემსრულებლო ოსტატობა უნდა ეჩვენებინათ ჩვენს თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებს და მოწვეულ სტუმრებს, რომელთა რაოდენობა ოცდათხუთმეტს აღემატებოდა. ფესტივალში მონაწილეობდნენ კახეთის, ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის, რაჭისა და სვანეთის რაიონები. ფესტივალი გრძელდებოდა 3 დღეს, იწყებოდა პარასკევს და მთავრდებოდა კვირას. თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებს და ინდივიდუალურ შემსრულებლებს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები მასპინძლობდნენ. ფესტივალის ჟიურის ევალებოდა გამარჯვებულის გამოვლენა და საპრიზო ადგილების განაწილება.

ასე გრძელდებოდა ორი თუ სამი წელი, მართალია მონდომებას არ ვაკლებდით, მაგრამ ჩანდა, რომ სტადიონი აშკარად მოუხერხებელი ადგილი იყო ფესტივალისათვის, გადაწყდა, რომ ქალაქის სიახლოვეს გამოენახათ ისეთი ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მწვანე თეატრის მშენებლობა. კარგა ხნის შემდეგ მიზანშეწონილად ჩაითვალა მწვანე თეატრის აშენება მურის ღელეში. სამუშაოები მიდიოდა ჩქარი ტემპით, საზოგადოებრივ საწყისებზე, ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, მშენებლობაში მონაწილეობდა რაიონის ყველა საზოგადოებრივი მეურნობა, წარმოება და დაწესებულება. საქმე კეთდებოდა იმ ხანად მიღებული შაბათობების წესით. შესრულდა მიწის დიდძალი სამშუაოები, დაიგო კორდი, გაკეთდა განათება, დაიდგა რვაასზე მეტი სკამი. რაიონის ხელმძღვანელობისა და მოწვეული სტუმრებისთვის მოეწყო ლოჟა, სადაც შეიძლებოდა ერთდროულად დამჯდარიყო ასი-ასორმოცდაათი კაცი. ლოჟის ქვემოთ განთავსდა გემოვნებით მოწყობილი ბარი, ლეჩხუმური ბუხრით, მაგიდებით, სკამებით, ტელევიზორით და რაც მთავარია სამზარეულოთი. იმართებოდა შეხვედრები, მიღებები და სხვა ღონისძიებები, განსვენებულმა ლევან ჩხეიძემ, რომელმაც რამაზ მხეიძე შეცვალა რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე. ბარში, ლეჩხუმელ თანატოლებთან შესახვედრად მოიწვია სამტრედიელი ახალგაზრდები. შეხვედრამ ბატონი ლევანის ხელმძღვანელობით მეტად გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა. იყო სიტყვები, ლექსები, სიმღერები და ცეკვები. ორივე მხარე ძალზე კმაყოფილი დარჩა. ლევანს რომ დაცლოდა და მოულოდნელად არ გარდაცვლილიყო, მის სახელთან იქნებოდა დაკავშირებული ლეჩხუმის ეკონომიკური წინსვლა, ჩვენი ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობა.



მწვანე თეატრი ჩაფიქრებული იყო, როგორც ღია მუზეუმი ცის ქვეშ. მისი ტერიტორია რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებზე განაწილდა ისე, როგორც ამას ადრე ქალაქის სტადიონზე ჰქონდა ადგილი. დაიდგა ხის პატარა სახლები, შემოილობა ეზოები, გაშენდა მარადმწვანე მცენარეები და ხილი, მოეწყო ყავავილნარი და ა.შ. მურის ღელეზე დაიდგა მწვანე თეატრის მეტად ორიგინალური შენობა მოხდენილი სცენით, გასახდელებითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით, მწვანე თეატრის სცენაზე ხშირად გამოდიოდნენ რესპუბლიკის ცნობილი მუსიკალური კოლექტივები და საქვეყნოდ აღიარებული მომღერლები. მაყურებლებს დღესაც ახსოვთ მედეა ძიძიგურის და გურამ საღარაძის გამოსვლა მწვანე თეატრის სცენაზე.

მურის ღელეში დაიდგა პატარა წისქვილი, რომელმაც მეტი სილამაზე შემატა მწვანე თეატრს. ყველა სტუმარი, რომელსაც მწვანე თეატრეზე მოუწია გამოსვლა, მოხიბლული იყო ამ სიახლით.

ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან მწვანე თეატრს მოაკლდა ყურადღება.იყო ხელმრუდობის არა ერთი შემთხვევა, იმძლავრა სტიქიამაც. ადიდებულმა ცხენისწყალმა წალეკა ეთნოგრაფიული დასახლების დიდი ნაწილი. საფრთხის გაძლიერებასთან ერთად დადგა ეთნოგრაფიული დასახლების საკითხიც. ავბედით ოთხმოცდაათიან წლებში დასახლება საბოლოოდ მოიშალა.

დარჩა მხოლოდ მწვანე თეატრი თავისი სცენითა და ლოჟით, მაგრამ მასიური ხასიათის მხატვრული ღონისძიებებისათვის მისი გამოყენების არეალი სულ უფრო ვიწროვდება. არავის ახსოვს მისი განთქმული ბარიც, რომელიც დიდი ხნით მიეცა დავიწყებას. მაგრამ თუ ქვეყანა მოძლიერდა, უსახსრობისაგან წელში გაწყვეტილმა ხალხმა სული მოითქვა და უცხოეთში გადახვეწილმა ქართველობამ პირი სამშობლოსაკენ იბრუნა, მწვანე თეატრიც საჭირო გახდება.

ომარ ჭაბუკიანი,
ცაგერის ისტორიული
მუზეუმის უფროსი მეცნიერ-მუშაკი

ჩვენი ისტორიიდან

ცხეილა-დეხვირი

(დასასრული)

ერთ ადგილზე წერია: „ანასტასი დიაკვანი წამოიყვანეს ციხესა თაკვერისა, კვერსა“. თაკვერის ციხე დეხვირის“).

მიგვაჩნია, რომ ჩვენი ვერსიით, წმინდა მაქსიმე 662 წლის 26 აგვისტოს დეხვირის ციხეში გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს. როდესაც გაირკვნენ, თუ მაქსიმეს სახით როგორ პიროვნებასთან ჰქონდათ საქმე, მისი ნეშტი აღმოყვანილი და პატივით გადასვენებული იქნა „ციცხნარში“ . ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ის დროს ციცხნარში (მური) არსებობდა არსენის ეკლესია, ცნობილ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ლეგენდას საფუძვლად სინამდვილე უდევს. ისტორიაში ამის უამრავი მაგალითია და ლეგენდიდან სინამდვილემდე ერთი ნაბიჯია.

მაქსიმე აღმსარებლის შესახებ სოფელ დეხვირის მიმდებარე სოფლებში გავრცელებული ლეგენდებიან მოგვყავს ერთი ვარიანტი, მთქმელი სამოელ დაშნიანი: „გადმოცემით მაქსიმე სოფელ დეხვირში ცხოვრობდა, იქ ერთი გლეხი, ავი კაცი, ღამღამობით თავის საქონელს სხვის ყანაში ჩადენიდა საბალახოდ. წმინდა მაქსმე გამორეკდა და მის საჩიხეში დაამწყვდევდა. იმ კაცს წმ. მაქსიმე სხვაგვარადაც სჯიდა: როცა კაცი კალოს ჩაიდგამდა, წმ. მაქსიმე ნისლად გადაიქცეოდა და პურს უცვარავდა. ერთხელ იმ გლეხმა საქონელი სხვის ყანაში გადენა და თოფით დაუდარაჯდა. წმ. მაქსიმემ უხილავად გამორეკა საქონელი. გლეხმა მას დაუყვირა. წმ. მაქსიმე ნისლიდან გამოელაპარაკა: ნუ შვები მაგასო“. გლეხმა ვერავინ დაინახა, ნისლის ესროლა თოფი. ნისლი გადაიყარა და გამოჩნდა წმ. მაქსიმე გარდაცვლილი. გლეხმა თქვა: „წმინდა კაცი მომიკლავსო“ დაფლა ისეთ ადგილას, რომ არავის მიგნება არ შეეძლო, მაგრამ არ გაჩერდა წმინდა მაქსიმე. შემდეგ მეორე ადგილას გადაასვენა, იქაც არ ინება წმ. მაქსმემ მიწაში გაჩერება და ყოველთვის ზევით ამოდიოდა მისი გვამი. მესამედ ცხეთის (ლეჩხუმი) ეკლესიასთან წაიყვანა, არც იქ გაჩერდა.

მაშინ ერთმა იქაურმა დედაკაცმა ჩვენება ნახა. მას გამოეცხადა წმ. მაქსიმე და უთხრა: „მე არსად გავჩერდებიო, მოიყვანეთ უხედარი ხარებიო, დამაკარით მარხილზე, გავუშვით ხარები და სადაც მივიდნენ და გაჩერდნენ, იქ იქნება ჩემი საფლავიო. დედაკაცმა ის სიზმარი განუცხადა მღდველს. მან შეკრიბა ხალხი და შეასრულა ეს სიტყვები.ხარები წამოვიდნენ ტყე-ტყე- შემოუარეს ჩხუტელის ეკლესიას, შემდეგ პირდაპირ წამოვიდნენ ციცხნარში (მური) და სადაც ახლა ეკლესია არის, იქ გაჩერდნენ. დედაკაცისათვის წმ. მაქსიმეს კიდევ ის უთქვამს, რომ ის ხარები სადაც გაჩერდებიან, იქვე დაკალით და მარხილის შემადგენლობით მოხარშეთ და ხალხმა შეჭამოსო. მართლაც, ასე მოიქცნენ. ერთმა მარხილმა მოხარშა სასწაულებრივ ეს ერთი უღელი ხარი.ხალხი დაკმაყოფილდა და წავიდა“ (ჩამწერი დ. ყიფშიძე, 1914).

პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი აღნიშნავს, წმ. მაქსიმე აღმსარებლის ლეგენდები ადგილობრივი წარმოშობისაა. მათი შექმნა, თვითონ წმინდანის ცხენისწყლის ხეობაში გამოჩენის შემდეგაა შესაძლებელი. მურის მიმდებარ სოფლებში დამკვიდრდა დღესასწაული „მურობა“, რომლის დროსაც იქაურები იჩოქებდნენ და წამოიძახებდნენ: წმინდა მაქსიმე! დარი გვიბოძე, შევგიხვეწ!“ დეხვირელი სტეფანე ჭაბუკიანის თქმით: „რომ მივიდოდით მურს, ყველა დავიჩოქებდით ძირს და ვტიროდით, ვევედრებოდით წმ. მაქსიმეს დარის მოცემას... მაშინვე გამოიდარებდა“. მურს წასასვლელი დღეები იყო ორშაბათი და ხუთშაბათი, წინ მღვდელი მიუძღოდათ ფეხშიშველი.

ირკვევა, რომ დეხვირ-ცხეთის მიმდებარე ექვს სოფელში მაქსიმე აღმსარებლის ფართოდ განშტოებული კულტი არსებობდა და მის სახელზე XX ს-ის პირველ მეოთხედამდე დღესასწაულები იმართებოდა სახალხო კარნავალის სახით.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, ცხედადეხვირის კომპლექსის არქეოლოგიურად სრულყოფილად შესწავლა უაღრესად პერსპექტიულია და მნიშვნელოვანი არამარტო საქართველოსა და კონკრეტულად ლეჩხუმის (მთიანი კოლხეთი) შესწავლის საქმეში, არამედ კავკასიის ისტორიით და არქეოლოგიით დაინტერესებული მკვლევარებისათვის.

ცხეთა-დეხვირის რეგიონში მიწის ქვეშ და მის ზემოთ არსებული სიძველეებისა და იქ არსებული ობიექტების, საინტერესო ისტორიისა და თვალწარმტაცი პეიზაჟების გამო, ბატონ გიორგი გასვიანს გაუჩნდა სურვილი და მიზნად დაისახა ცხეთა-დეხვირის ტერიტორია გამოცხადებულიყო მუზეუმად ღის ცის ქვეშ, სურვილი რეალობად იქცა.



ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის დადგენილებით და კულტურის სამინისტროს თანხმობით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე დეხვირის ციხეთა კომპლექსისა და ცხეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ტერიტორიაზე მიზანშეწონილად ჩაითვალა. მუზეუმის ღია ცის ქვეშ გახსნა.

ახლა, საჭიროა მუზეუმის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწყობა, კადრებით დაკომპლექტება და საერთოდ მატერიალური უზრუნველყოფა. რათა მალე ტურისტებსა და დაინტერესებულ პიროვნებებს გაუჩნდეთ სურვილი ღია მუზეუმის ნახვის.

ცაგერის ისტორიული მუზეუმის
უფროსი მეცნიერ-მუშაკი
დავით კოპალიანი

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს



რამდენი ჩვენგან წასული კაცის ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს, მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს
მ. ქვლივიძე

არიან ადამიანები, რომლებიც ლამაზ კვალს ტოვებენ ამ წუთისოფელში რაც იცხოვრა, ლამაზად იარა, კაცურად, ასეთი კაცები აკლდებიან ოჯახს, ახლობლებს, ქალაქს, ქვეყანას. იმ ასაკის ვიყავი მაშინ, როცა ავანჩავანს კაცობისას, სუფრისას, სიმღერისას ვსწავლობდი, ანუ დაუღვინებელი ბიჭი ერთ დღეს სახლში ვბრუნდებოდი და უცბად ბიძაჩემის ბიჭიკო ქარსელაძის სახლიდან (აცხონოს ღმერთმა, იცოცხლე სუფრა და სიმღერა იმან იცოდა), საოცარი სიმღერის ხმა შემომესმა, კარგი სიმღერა არ გამიკვირდებოდა, მაგრამ ეს იყო გამორჩეული კახური, რომელიც იმ დროს უჩვეულო იყო ლეჩხუმში, ყველა ვერც დღეს ახერხებს მღერას მისი სირთულის გამო: ჰოდა ისმის ჩვენი მასპინძლის სასახლე, ლამაზი ჩახვეულებია, შევიცანი სუფრას უსხედან: თენგიზ კოპალიანი (კვეი) ღმერთმა გაანათლოს მისი სული, ბიჭიკო, საშურა გოგიძე და ჩემთვის უცხო კაცი, მაშინ რა თქმა უნდა არ ვიცნობდი, ვერ გვბედე გამოჩენა და მეორე ოთახიდან ვუსმენდი, ისე დამაინტერესა ამ მართლა ლამაზმა ღიღინმა, რომ გამიტაცა და ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა. მერე ისე მოხდა, რომ ამ ადამიანებთან მომიწია სცენაზე დგომა და სიმღერა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ეს უცხო კაცი იყო სოზარ ბენდელიანი, საოცარი ადამიანი, უბოროტო, ბუნჩულა, უთქმელი, უთქმელობის გამო ბევრჯერ ცრემლიც მინახავს მის თვალზე, უპრეტენზიო, იტყვიან კაცზე, პრეტენზია როგორ არ ექნებოდა, მაგრამ, უყვარდა თავისი საქმე და ჩუმად აკეთებდა, არ ტაბახობდა, თორემ სატრაბახო ბევრი ჰქონდა ლეგენდარულ ანსამბლ „რუსთავში“ მღეროდა წლების განმავლობაში, აღბათ ცოტანი თუ იქნებიან საქართველოში ასე რომ გამოერჩია ბედს. ჰოდა, ისე ხდება რომ ასეთ ადამიანებს ვერ ვაფასებთ ხოლმე შესაფერისად სიცოცხლეში, გვაპატიოს მისმა სულმა თუ რამე დავაკელით. აღარ გვყავს დღეს ეს კაცი, თუმცა ჭეშმარიტი ხელოვანისათვის ყველაზე დიდი დაფასება მაყურებლის ოვაცია და ტაშია, რომელიც არა ერთხელ განუცდია სოზარს ახსოვთ ადამიანებს მისი სიმღერა და არამარტო სიმღერა, შესრულებული როლებიც სხვადასხვა სპექტაკლებში „სოზარს_31“ იანვარს შეუსრულდებოდა 71 წელი. ჩვენ მისი ახლობლები კიდევ ერთხელ გავედით მის საფლავზე და გავიხსენეთ, ასე იქნება მუდამ.სიცოცხლე გრძელდება, სოზარს დარჩა ძალიან კარგი ოჯახი. მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, კარგად მღერიან შვილიშვილები, როცა სოზი ისმენდა ხატიასა და ნათიას სიმღერას. ხარობდა, ამაყი იყო, თუმცა ხმამაღლა არაფერს ამბობდა, ერთხელ კულტურის სახლში, ქუჩის განაპირა ოთახში ჩვენი ანსამბლი რეპეტიციას გადიოდა, ზაფხული იყო და ფანჯარა ღია გვქონდა ქუჩაში შვილთან ერთდა მიმავალმა მისმა რძალმა ელისომ სიმღერა გაიგონა და ბავშვი ფანჯარაში ამოსწია, დაინახეს ერთმანეთი თუ არა გაიხარა ბაბუამ და შვილიშვილმა ამის შემდეგ დაგვეჩვია პატარა ნიკუშა, მოგვადგებოდა და უუს ძახილით სიმღერას გვთხოვდა. ნიკა ახლა წამოიზარდა, მე არ ვიცი გააგრძელებს თუ არა ბაბუის გზას ხელოვნებაში, მაგრამ იმის მწამს, რომ კარგი ქართველი გაიზრდება, იმიტომ რომ გენში აქვს და ასე უნდოდა ბაბუას! და ბოლოს, ჩემო სოზარ, გილოცავთ დაბადების დღეს შენი კოლეგები და შემოქმედებითი კოლექტივი, გვახსოვხარ, არასდროს დაგვავიწყდები, და არასდროს წაგვეშლები ხსოვნიდან და ასე იქნება მუდამ, ნათელში იყოს შენი სული, ჩემო სოზარ.

ზაზა ყურაშვილი,
კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი

მირქმა უფლისა

ქალაქ იერუსალიმში ცხოვრობდა მართალი მოხუცი სვიმონი. მას სულიწმიდის მიერ ეუწყა, რომ მანამ არ მოკვდებოდა, სანამ თავისი თვალით არ იხილავდა მაცხოვარს. ერთხელ, როცა იგი იერუსალიმის ტაძარში იყო, მარიამმა და იოსებმა ყრმა იესო განსაწმედად მიიყვანეს. სვიმონმა, როგორც შეხედა მას, მაშინვე იცნო მაცხოვარი, რომლის ნახვასაც ელოდა. მიირქვა (აიყვანა) მკლავზე და თქვა: „აწ განუტევე, მეუფეო, მონა შენი სიტყვისაებრ შენისა—მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარება შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა—და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა“ (ლუკ. 2,18).

სვიმონის მიერ უფლის მირქმას ქრისტიანები 15 თებერვალს ვდღესასწაულობთ.

ფოთიპო ჩანქსელიანი

ჩრდილი

ქუჩაში მივრბოდი, წოტათი მწიოდა,
არწ ნყალი მწყუროდა და აღარწ მშიოდა,
ძალა მეწლებოდა, ფეხები მტკიოდა,
სინათლე გამოჩნდა—მზე ამოდიოდა?!

ვხედავდი, უკნიდან ვიღაწ მოდიოდა,
ხმამაღლა მოთქვამდა, წრემლები სდიოდა,
ისიწ კანკალებდა—ალბათ სწროდა,
უფრო დიდდებოდა—ჩემკენ მოდიოდა.

ვერაფრით გამეგო—რა მომდიოდა,
თუ მზე ანათებდა—მე რატომ მწიოდა?!
ის ვიღაწ ვინ იყო, წრემლი, რომ სდიოდა?
რატომ არ მოვიდა—თუკი მოდიოდა?!

ისევ მივრბოდი, ისევ მწიოდა,
უკვე მწყუროდა, უკვე მშიოდა,
ლანდი ყოფილა—ისევ მოდბოდა,
საღამო ყოფილა და მზე ჩადიოდა...

„ლექსი მუგის გარეშე

ისევ საღამოა... არწ ისე მშვიდი,
ექვის საათია ან იქნებ შვიდი,
გულზე სევდა მანევს საკმაოდ დიდი,
ყველას ვეჩხუბები, არვის მაქვს რიდი.
მთელი დღე ვიწრნე—რა უწნაურია,
ახლა მეტირება—გულში ხმაურია,
არ ვიწი რას ვგრძნობ—აურზაურია,
ალბათ ძველებურად—გულმა აურია.
რა საშინელი საღამოა—გული დაბერდა
ეს მოუქნელი კალამიწ არ ნერს—ახლა გაჩერდა,
მუსიკას ვუსმენდი, როგორწ ადრე—ისე არ ყლერდა,
პულსი გავისინჯე—ნელია ფეთქავდა ან სულ არ ძგერდა.
სიწოწხლე მომბეზრდა?! მეძინება?
არ ვიწი რა მომდის?!
უბრალოდ—ლექსის ნერა მინდა
მუზა კი არ მომდის.

სპორტი

მუნიციპალიტეტის პირველობებზე

გამგეობის სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით ტარდება მუნიციპალიტეტის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული პროგრამით გათვალისწინებული სპორტული შეჯიბრებები.

***

შაშში ვაჟთა შორის მუნიციპალიტეტის პირველობაში მონაწილეობდა 20 მოშაშე.

შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა

I ადგილი—მამუკა კოპალიანი (აფხაზეთი-კელასური)

II ადგილი—გოჩა მუშკუდიანი (ლასურიაში)

III ადგილი—კახა მეშველიანი (წიფერჩი)

***

ნარდში—24 მონაწილეს შორის

I ადგილი მოიპოვა ცაგერელმა ბუჭა ბურჯალიანმა

II ადგილი წილად ხვდა დუხვირელ—გიორგი ჭაბუკიანს

III ადგილზე გამოვიდა ქვედა ცაგერელი ლევან კოპალიანი

***

ჭადრაკში—უფროსი ასაკის მონაწილეთა შორის ადგილები ასე განაწილდა

I ადგილი—მერაბ ახვლედიანი (ქ. ცაგერი)

II ადგილი—გია ჩარკვიანი (ს. წიფერჩი)

III ადგილი—ზურაბ სვანიძე (ქ. ცაგერი)

***

უმცროსი ასაკის მონაწილეთა შორის საპრიზო ადგილები ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გაინაწილეს

I ადგილი—ვასო ქარსელაძე

II ადგილი—გიორგი ჭაბუკიანი

III ადგილი—თორნიკე კოპალიანი

მუნიციპალიტეტის პირველობები გრძელდება.

მთ. სპეციალისტი სპორტის სფეროში გია სილაგაძე

გაგრძელება

ფასდაუდებელი ამაგისათვის

ორი წელია, რაც სამი ტყუპი თომა, მერაბ და ნიკოლოზ ლარცულიანები ცაგერის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები არიან. ბებიას და დედას ძალიან გვიჭირდა ერთდროულად სამი ბავშვის მოვლა და წინდაწინ ვთხოვეთ ბაღის გამგეს ქალბატონ **ლელა კვირიკაშვილს** პატარების მიღების თაობაზე, ისინი ფეხზე ვერ დადიოდნენ მაშინ. ქალბატონმა ლელამ მოკრძალებულად გვიპასუხა—ბაღი თქვენი სახლის წინ გაქვთ, მაგრამ თუ აქ მოსვლას ინებებთ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ხელი შეგიწყოთ, მდგომარეობა შეგიმსუბუქოთ და რაც მთავარია, უკმაყოფილი არ დარჩეთ ჩვენი მომსახურებით. პირობას ასი პროცენტით ასრულებს ხელმძღვნელი და პედაგოგიური კოლექტივი, აღმზრდელი პირველი ცვლის **ნატო ბენიძე,** აღმზრდელი მეორე ცვლა **მადონა საღინაძე,** აღმზრდელის თანაშემწეები **მზევინარ ჩაკვეტაძე** და **ინგა კუხიანიძე.**

დღესაც, მორიგეობითა და მონაცვლეობით ცდილობენ პატარების რუდუნებით მოვლა-პატრონობას, არა მარტო ჯგუფის აღმზრდელები, არამედ ბაღის მთელი კოლექტივი. ბიჭებიც ხალისით მიცუნცულებენ დილაადრიან ბაღში საყვარელ აღმზრდელებთან და თანატოლებთან ხალისიანი დღის გასატარებლად. მათ წინ მეოთხე ძმა, საბა მიუძღვით, რომელიც ძმებივით უყოყმანოდ მიიღეს მასწავლებლებმა, ისიც ფეხაუდგმელი, სიარული ასწავლეს, როგორც ტყუპებს.

მადლობას გიხდით ქალბატონო ლელა თქვენ და თქვენს პედაგოგიურ კოლექტივს თბილი და გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის აღსაზრდელებისა და მათი მშობლების მიმართ. შეძლებოდეს მომავალ თაობას თქვენი ამაგის დაფასება.

ბებია — ნათელა ჩაკვეტაძე,
დედა—მარი ბენდელიანი.

ყური მივუგდოთ ბრძენთ

- სამართლიანობა იშვიათობაა.
- მიგრაცია გლობალური თვნობენია და მსოფლიო გლობალური მიგრაციის გზით მიდის;
- ენა არის ერის თვითმყოფადობის გარანტი;
- ეფექტის მთავარი პრინციპი: ის არ უნდა გააკეთო, რაც შენ არ მოგწონს სხვაში
- ყველა პოლიტიკოსი არის საჯარო პიროვნება;
- პირველ რიგში, რაც მსოფლიოს ამოძრავებს, პიროვნებაა;
- რაც უფრო მაღლა ადგინდები, მით უფრო მტკივნეული იქნება დაცემა;
- ადამიანის ყველაზე დიდი მტერი ძალაუფლებაა;
- საშოვარს გადაგებული, გათითოკაცებული ერი—აი ვინა ვართ.

საინფორმაციო გამოცემა მომზადებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის საარეგულოს და გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მიერ.

მისამართი:
ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №64
ტელ: 899 951678
898 865497; 790 393580

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“ სტამბაში
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.
ტელ: 223711; 223499.